

## საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

### სამუშაო შეხვედრა

### შეხვედრის ოქმი #3

ქ.თბილისი

20.06.2023

2023 წლის 20 ივნისს, ონლაინ ფორმატში, Zoom პლატფორმის გამოყენებით გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საკოორდინაციო საბჭოს წევრები, ცენტრის დირექტორის მოადგილეები და ცენტრის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები. შეხვედრა დღის წესრიგის შესაბამისად გაიმართა (იხ. დანართი 2).

შეხვედრა გახსნა ცენტრის დირექტორის მოადგილემ ლაშა მარგიშვილმა. იგი მიესალმა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა მათ საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისთვის. მან აღნიშნა, რომ საკოორდინაციო საბჭო ცენტრის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება მინისტრის ბრძანებით და მისი უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია ორი წლით. ლაშა მარგიშვილმა ყველას წარმატება უსურვა და აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, რომ მომავალი ორი წლის პერიოდი ცენტრისთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან წელს ცენტრი გადის ENQA-ს განმეორებით შეფასებას და მას ასევე, 2023-24 წლებში უწევს EQAR-ში რეგისტრაციის განახლება.

ცენტრის დირექტორის მოადგილე, კახაბერ ერაძე, მიესალმა საბჭოს წევრებს. მან მადლობა გადაუხადა წინა საბჭოს შემადგენლობას და აღნიშნა, რომ დღევანდელი საბჭოს წევრების უმრავლესობა, გარდა რამდენიმე წევრისა, წინა საბჭოშიც იყვნენ წარმოდგენილები. მან საბჭოს წევრებს წარმატებები უსურვა და წარმოადგინა საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის არჩევის საკითხი. საბჭოს ახალმა შემადგენლობამ რუსუდან სანაძის კანდიდატურის საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. საკოორდინაციო საბჭომ მის კანდიდატურას ერთხმად დაუჭირა მხარი და ის ორი წლის ვადით აირჩიეს საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ.

რუსუდან სანაძემ მადლობა გადაუხადა ყველას და აღნიშნა, რომ ეს დიდი პატივია მისთვის და დიდი სიამოვნებით გააგრძელებს ამ ახალი შემადგენლობის ფორმატშიც მუშაობას, თუ, რა თქმა უნდა, მათი მხრიდან იქნება ამაზე თანხმობა.

მომხრე 11

მოწინააღმდეგე 0

კენჭისყრაზე დადგა საბჭოს მდივნის კანდიდატურა, რომელზეც სტუდენტური თვითმართველობის წარმომდგენელი, თათია უბერი წარადგინეს. ამასთან დაკავშირებით ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, სტუდენტური ორგანიზაციის წარმომადგენლები ასრულებენ მდივნის მოვალეობას და თუ ქალბატონი თათია იქნება თანახმა, ამით გაგრძელდება პრაქტიკა. მისი თანხმობის შემდგომ საკოორდინაციო საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ორი წლის ვადით საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მდივნად თათია უბერის არჩევას.

მომხრე 11

## მოწინააღმდეგე 0

კახაბერ ერადემ აღნიშნა, რომ საბჭოზე გასატანი პირველი საკითხი პროცედურულია, რომ კიდევ ერთხელ შეახსენონ საბჭოს წევრებს მათი მანდატი და მუშაობის ადმინისტრირების წესი. ცენტრის დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ლაშა ზივზივამემ, ამ საკითხთან დაკავშირებით წარადგინა პრეზენტაცია. მან აღნიშნა, რომ საბჭოს შესაძლებლობის გაძლიერება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ცენტრისთვის და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკოორდინაციო საბჭოს ახალი წევრებისთვის.

დღის წესრიგის შესაბამისად, ლაშა ზივზივამემ ENQA-ს წევრების ფორუმთან დაკავშირებით პრეზენტაცია წარადგინა. მან აღნიშნა, რომ 2022 წელს, ცენტრს მიეცა შესაძლებლობა ENQA-ს საბჭოს გადაწყვეტილებით 2023 წლის 20-21 აპრილს საქართველოს ფორუმისთვის ემასპინძლა. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდა 30-ზე მეტი ქვეყანა, EQAR-ის, EUA-ს, ESU-ს და ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლები. მან აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება ქვეყნის ცნობადობის ამაღლების კუთხით და უმაღლესი განათლების სხვადასხვა გამოცდილების გაზიარების კუთხით ძალიან კარგი და მნიშვნელოვანია. მან ასევე აღნიშნა, რომ ღონისძიებაზე უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მიმართულების კუთხით სხვადასხვა საკითხები განიხილეს. აღნიშნულმა ფორუმმა წარმატებით ჩაიარა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ENQA-ს პრეზიდენტისგან ოფიციალური მადლობის წერილი მიიღო.

დღის წესრიგის შესაბამისად, კახა ერადემ წარადგინა ცენტრის და განათლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ რამდენიმე რეგულაციაში ცვლილებების შეტანის საკითხი, საკოორდინაციო საბჭომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და კენჭისყრაზე დააყენოს.

გაზიარებულ პრეზენტაციაში პირველი საკითხი ეხებოდა ცენტრის დებულებაში ცვლილებების შეტანას და უფრო მეტად კანონქვემდებარე აქტის შესაბამისობაში მოყვანას. კახაბერ ერადემ აღნიშნა, რომ ცვლილება შეეხება იმას, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულებაში შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების ადმინისტრაციულ წარმოებებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული და ეს იქნება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მან აღნიშნა, რომ ეს სამსახური განახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებებს სახელმწიფო ენაში მომზადების მოპოვების უფლებასთან დაკავშირებით. მეორე საკითხად წარდგენილ იქნა ის ცენტრის ფუნქციები, რომლებსაც ცენტრი ამ დრომდე ახორციელებდა, მაგრამ ეს არ იყო დებულებაში ასახული. ეს საკითხია არაფორმალური განათლების აღიარების უფლება, ამ საკითხსაც ადმინისტრირებას უწევს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მესამე საკითხია ავტორიზაციის დებულებაში ცვლილებების პროექტი, კონკრეტულად, ზოგადი განათლების ნაწილში ინიცირებული ცვლილებები. ცვლილებები ასევე შედის ავტორიზაციის საფასურში და ის უფრო სკოლაზე ორიენტირებული ხდება. როდესაც სკოლა შემოიტანს განაცხადს, მაგრამ ექსპერტების ჯგუფის შექმნამდე გადაიფიქრებს აღნიშნულ ადმინისტრაციულ წარმოებას (ცენტრს ჰქონდა ასეთი შემთხვევა) სკოლას სრულად დაუბრუნდება გადახდილი საფასური. ასევე, ცვლილებაა ის, რომ 170-ზე ნაკლებ კონტიგენტთან სკოლებს ავტორიზაციის საფასურში მიეცეთ 50% შეღავათი ერთჯერადად, ასევე იცვლება ავტორიზაციის ექსპერტთა მივლინებასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯების ანაზღაურება.

კითხვა პასუხის ფორმატში, შალვა მეკრავიშვილმა მივლინებებთან დაკავშირებით დასვა შეკითხვა. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი ცხოვრობს გორში და იქ დაინიშნება მისი ვიზიტი, იმ

წესის მიხედვით, რაკი თბილისიდან 30 კმ. დაშორებითაა ვიზიტის ადგილი, მაინც უნაზღაურდება თუ არა დაგეგმილი მივლინება. კახაბერ ერაძემ უპასუხა, რომ დღემდე ექსპერტს უნაზღაურებოდა ვიზიტი, რადგან მის სამუშაო ადგილად განსაზღვრული იყო ცენტრი, თუმცა ეს სწორდება და განისაზღვრება, რომ მისი სამუშაო ადგილია საქართველოს მთელი ტერიტორია. მან აღნიშნა, რომ ზოგადი განათლების ნაწილში ეცდებიან იმ ქალაქში და მუნიციპალიტეტში არ გაუშვან ექსპერტი, სადაც მისი ძირითადი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილია.

დღის წესრიგის შესაბამისად, ლაშა ზივზივამდე წარადგინა პრეზენტაცია ცენტრის დებულების ცვლილების შესახებ. მან აღნიშნა, რომ შინაარსობრივად დებულების ცვლილება განხორციელდება ოთხი მიმართულებით: სტრატეგია და სამოქმედო გეგმების კოორდინაცია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების კოორდინაცია, შესაბამისი კვლევებისა და თემატური ანალიზების მომზადება და დონორებთან კომუნიკაცია. მან ასევე აღნიშნა, რომ ცენტრის დებულებას დაემატა ერთი პუნქტი, რომელიც ეხება არა მხოლოდ ცენტრისა და სამოქმედო გეგმის კოორდინაციის განხორციელებას, არამედ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების შესაბამისი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმის კოორდინაციასაც განხორციელებასაც. ამიტომ გაჩნდა ახალი ქვეპუნქტი დებულებაში. მან ასევე აღნიშნა, რომ ახალი ქვეპუნქტის გაჩენა არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურსებს, ის ადმინისტრაციული რესურსებით ხორციელდება. დანარჩენი საკითხები, ზოგადი სახისაა და ხელს არ შეუშლის ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელებას და არც ENQA-ს გაწევრიანების საკითხს.

რუსუდან სანაძემ საკითხები კენჭისყრაზე დააყენა. აღნიშნულ ცვლილებებს ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

მომხრე 11

მოწინააღმდეგე 0

მომდევნო საკითხად წარდგენილ იქნა თვითშეფასების დოკუმენტი ცენტრისთვის ENQA-ს წევრობის გახანგრძლივების მიზნით. ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნიკოლოზ ფარჯანაძემ, მოკლედ განმარტა და აქცენტი გააკეთა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ცენტრისთვის ENQA-ს წევრობა, კერძოდ ისაუბრა მის მნიშვნელობაზე, როგორც ცენტრისთვის ასევე საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისთვის.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ ENQA-ს ფორუმი კიდევ ერთი დადასტურება და აღიარება იყო იმ საქმიანობის რასაც ცენტრი ეწევა. 2018 წელს ცენტრმა გაიარა ENQA-ს თვითშეფასება, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ცენტრისა და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რადგან ამ აღიარებით მიეცათ შესაძლებლობა მათ მიერ გაცემული კვალიფიკაციები და დიპლომები აღიარებული ყოფილიყო ბოლონიის წევრ ქვეყნებში.

2018 წლის შეფასების შედეგად გაიცა გარკვეული რეკომენდაციები და შემდგომ განხორციელდა ამ რეკომენდაციების შეფასების მონიტორინგი. ამჟამად, ცენტრი ემზადება ENQA-ს შემდგომი შეფასებისთვის, ამ მიზნით კი მომზადდა ცენტრის თვითშეფასების დოკუმენტი, სადაც აღწერილია ცენტრის საქმიანობის ყველა დეტალი და ასევე ის საკითხიც, თუ როგორ უზრუნველყოფს ცენტრი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფას გარე მექანიზმებით. ვიზიტი ოქტომბრის დასაწყისშია დაგეგმილი და ამ დრომდე ცენტრმა უნდა წარადგინოს თვითშეფასების დოკუმენტი, რაც ერთ-ერთი მთავარი

დოკუმენტი იქნება, რის საფუძველზეც შეფასდება ცენტრის საქმიანობა. ნიკოლოზ ფარჯანაძემ აღნიშნა, რომ ის სტანდარტები, რომლებითაც ცენტრი ხელმძღვანელობს თავსებადია ESG-ის 2015 წლის სტანდარტებთან და მოთხოვნებთან, აღნიშნული დებულების დასტურია სწორედ ის, რომ ENQA-მ დადებითად შეაფასა ცენტრის საქმიანობა და ცენტრი მისი წევრია. თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი აგებულია ESG-2015-ის პრინციპებით, რაც ნიკოლოზ ფარჯანაძემ საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე პრეზენტაციაში დეტალურად აღწერა და გაუზიარა საბჭოს წევრებს, ასევე მათ მოკლედ გააცნო ინფორმაცია თვითშეფასების დოკუმენტის შესახებ.

დოკუმენტის სტრუქტურა შედგება შესავლისგან, სადაც აღწერილია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა, ასევე შესავალი აღწერს იმ პროცესს, თუ როგორ მოხდა თვითშეფასების დოკუმენტის შემუშავება, კერძოდ, ამ პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, ცენტრის ამჟამინდელი თუ ყოფილი თანამშრომლები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, რამაც საშუალება მისცა ცენტს ბევრი სხვადასხვა პერსპექტივა ყოფილიყო წარმოდგენილი მოცემულ დოკუმენტში. შემდგომ დოკუმენტში აღწერილია საქართველოს განათლების სისტემა, განსაკუთრებული აქცენტი კი კეთდება უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე, ასევე მოცემულია ცენტრის ისტორია და მისი განვითარების ეტაპები, ასევე ცენტრის საქმიანობის თავსებადობა ESG- 2015 ის მოთხოვნებთან.

დოკუმენტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს წინა შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციების ანალიზი, კერძოდ, რა ღონისძიებები გაატარა ცენტმა და რა ცვლილებები განახორციელა სხვადასხვა მიმართულებით. დოკუმენტი მოიცავს SWOT-ანალიზს, რამაც ცენტრს საშუალება მისცა სხვადასხვა პერსპექტივიდან დაენახა პროცესი და ობიექტურად შეეფასებინა საკუთარი თავი, თუ რას აკეთებს კარგად და რა გასაუმჯობესებელი ასპექტები არსებობს. თვითშეფასების დოკუმენტი, საჯარო განხილვისთვის, განთავსებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ყველა დაინტერესებული მხარისთვის საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა გამოაგზავნონ უკუკავშირი, რასაც ცენტრი აუცილებლად განიხილავს. ასევე, ბოლო 2 კვირის განმავლობაში ცენტრის წარმომადგენლები შეხვდნენ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს, კერძოდ, აკრედიტაციის და ავტორიზაციის სააპელაციო საბჭოებს და მოწვეული საბჭოს წევრებს გააცნეს დოკუმენტის ძირითადი სტრუქტურა და შინაარსი, მათგან კი მიიღეს უკუკავშირი. ნიკოლოზ ფარჯანაძემ აღნიშნა, რომ შეხვდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს, რომლებსაც 16 ივნისამდე ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეგზავნათ უკუკავშირი, რასაც ცენტრი განიხილავს და შესწორებულ ანგარიშს გააგზავნის ENQA-ს სათაო ოფისში. დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში, ადგილზე ჩამოვლენ ENQA-ს ექსპერტები და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან განიხილავენ დეტალებს.

პრეზენტაციაში ასევე მოკლედ იყო წარმოდგენილი ცენტრის ისტორია და ცენტრისთვის ყველაზე საამაყო ნაბიჯად ნიკოლოზ ფარჯანაძე ENQA-ს წევრობას მიიჩნევს, EQAR- ში დარეგისტრირებას, WFME-ის წევრობას, რაც მნიშვნელოვანია საქართველოში მიღებული სამედიცინო განათლების აღიარებისთვის.

ლაშა მარგიშვილმა მადლობა გადაუხადა მომხსენებელ ნიკოლოზ ფარჯანაძეს ENQA-ს წევრობასთან დაკავშირებული პრეზენტაციისთვის და საბჭოს განუმარტა, რომ ENQA-ს ჯგუფის ჩამოსვლის შემდეგ ისინი აუცილებლად შეხვდებიან საკოორდინაციო საბჭოს წევრებს და ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით, ასევე მათ ფუნქციებთან და გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით გაივლიან მთელ რიგ საკითხებს. ჯგუფის ვიზიტი ოქტომბერშია დაგეგმილი და მოგვიანებით ცენტრს ეცოდინება საბჭოსთან ვიზიტის ზუსტი თარიღი, მანამდე

კი ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ სავალდებულო იქნება საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა სექტემბერში, რათა განიხილონ კონკრეტული მიმართულებები. ENQA-ს ჯგუფში შედიან სლოვენის, კატალონიის, ბელგიის და შვედეთის წარმომადგენელი ექსპერტები.

ნიკოლოზ ფარჯანაძის მიერ წარმოდგენილი საკითხი საკოორდინაციო საბჭომ მიიღო ცნობად და არ საჭიროებდა კენჭისყრას.

შემოდგომი საკითხად წარდგენილ იქნა განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხი, რომელიც ცენტრისთვის სტრატეგიული მიმართულებაა და ცენტრი ცდილობს მუდმივად წარმოადგინოს სიახლეები ამ მიმართულებით. ლაშა ზივზივაძემ ისაუბრა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო ქსელის INQAAHE-ს წევრობაზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე, ასევე წარმოადგინა ცენტრის სრული წევრობის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი.

ლაშა ზივზივაძემ ასევე, წარადგინა შემდეგი პრეზენტაცია ლტოლვილთა ევროპული კვალიფიკაციების პასპორტის - EQPR-ის შესახებ, რომელიც მხარს უჭერს ლტოლვილების სწრაფ ინტეგრაციას ახალ საზოგადოებაში. საქართველო 15 მარტს გახდა 22-ე პარტნიორი ქვეყანა, რომელიც შეუერთდა ლტოლვილთა ევროპული კვალიფიკაციების პასპორტს.

აღნიშნული ორი საკითხი საჭიროებდა კენჭისყრას, პირველი, რომელიც გულისხმობდა უშუალოდ ამ ორგანიზაციის წევრობას და მეორე, რომ ცენტრი შეუერთდა აღნიშნულ პლატფორმას, რის შემდეგაც ცენტრმა ევროპის საბჭოსგან მიიღო დაფინანსება, რაც გულისხმობდა ლტოლვილებისთვის განათლების აღიარების საკითხებზე სახელმძღვანელოების შემუშავებას და ტრენინგების ჩატარებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და ცენტრის შესაბამისი თანამშრომლებისთვის.

საკოორდინაციო საბჭომ აღნიშნული ორი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე და წევრებისგან მიიღო სრული თანხმობა.

მომხრე 11

მოწინააღმდეგე 0

ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მაია კალანდაძემ, აღნიშნა, რომ ცენტრმა მუშაობა დაიწყო 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენაზე და საბჭოს წარუდგინა პრეზენტაცია 2024 წლის სამტატო განრიგში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ. სამტატოს პროექტის შესაბამისად ცვლილებები შეეხება სამი სამსახურის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს თანამდებობრივი კოეფიციენტის გათანაბრებას სხვა სამსახურის მოადგილეების თანამდებობრივ კოეფიციენტებთან, კერძოდ, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსის მოადგილის, შესყიდვებისა და მატერიალური მარაგების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის და საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს ცვლილებას. ასევე, მაია კალანდაძემ აღნიშნა, რომ იგეგმება ცალკე მდგომი საზოგადოებასთან ურთიერთობების საორგანიზაციო სამმართველოს გადაკეთდება სამსახურად და სამსახურის უფროსის თანამდებობრივი სარგო გაუთანაბრდება სხვა სამსახურების უფროსების თანამდებობრივ სარგოს. დაგეგმილი ცვლილებებით გამოწვეულ ხარჯს ცენტრი დაფარავს საკუთარი შემოსავლებიდან.

აღნიშნული საკითხი დადგა კენჭისყრაზე და მიიღო სრული თანხმობა საკოორდინაციო საბჭოს წევრებისგან.

მომხრე 11

მოწინააღმდეგე 0

შეხვედრის ბოლოს, ლაშა მარგიშვილმა მადლობა გადაუხადა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს აღნიშნული საკითხების განხილვაში მონაწილეობისთვის.

საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარე:

რუსუდან სანაძე



საკოორდინაციო საბჭოს სხდომის მდივანი:

თათია უბერი



**დანართი 1: საკოორდინაციო საბჭოს დამსწრეთა სია**

<b>საკოორდინაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს შემდეგი წევრები:</b>
ა) კაი ეტზოლდი - საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
ბ) თამარ თოლორაია - საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
გ) შალვა მეკრავიშვილი - საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
დ) რუსუდან რუხაძე - საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
ე) თამარ სამხარაძე - საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
ვ) რუსუდან სანაძე - საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე;
ზ) თათია უბერი - საკოორდინაციო საბჭოს წევრი, სხდომის მდივანი;
თ) ზაზა ფურცელაძე - საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
ი) ირმა ქურდაძე - საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
კ) მათა შუხოშვილი - საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
ლ) ნათია ჯოჯუა - საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
<b>საკოორდინაციო საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ:</b>
ა) თეა გულუა - საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
ბ) ჰელი მატისენი - საკოორდინაციო საბჭოს წევრი;

**დანართი 2: საბჭოს შეხვედრის დღის წესრიგი:**

დრო/Time	განსახილველი საკითხი / Discussion topic	მომხსენებელი/ Presenter	პოზიცია, ორგანიზაცია / Position, Organization
15:00 -15:05	<p>მისალმება</p> <p>Introduction</p>	<p>თამარ მახარაშვილი Tamar Makharashvili</p> <p>კახაბერ ერაძე Kakhaber Eradze</p> <p>ლაშა მარგიშვილი Lasha Margishvili</p>	<p>დირექტორი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Director, National Center for Educational Quality Enhancement</p> <p>დირექტორის მოადგილე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Deputy Director, National Center for Educational Quality Enhancement</p> <p>დირექტორის მოადგილე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Deputy Director, National Center for Educational Quality Enhancement</p>
15:05 – 15:10	<p>საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის განსაზღვრა</p> <p>Selection of the Head and Secretary for the Coordination Council</p>	<p>კახაბერ ერაძე Kakhaber Eradze</p>	<p>დირექტორის მოადგილე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Deputy Director, National Center for Educational Quality Enhancement</p>
15:10 - 15:20	<p>სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის ადმინისტრირების წესის წარდგენა</p> <p>Introduction of The Rule of Administrative Procedures for the Coordination Council of the NCEQE</p>	<p>ლაშა ზივზივაძე Lasha Zivzivadze</p>	<p>დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p> <p>Head of Planning, Research and Internatioanl Relations Department National Center for Educational Quality Enhancement</p>
15:20 – 15:25			



	<p>ცვლილებები ცენტრის დებულებაში , დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური</p> <p>Amendments in the Statutes of the Center, Planning, Research and Internatioanl Relations Department</p>	<p>ლაშა ზივზივაძე</p> <p>Lasha Zivzivadze</p>	<p>დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p> <p>Head of Planning, Research and Internatioanl Relations Department National Center for Educational Quality Enhancement</p>
15:25 - 15:30	<p>ENQA-ს წევრების ფორუმის შესახებ მოკლე ინფორმაციის წარდგენა</p> <p>Introduction the information about the ENQA Members' Forum</p>	<p>ლაშა ზივზივაძე</p> <p>Lasha Zivzivadze</p>	<p>დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p> <p>Head of Planning, Research and Internatioanl Relations Department National Center for Educational Quality Enhancement</p>
15:30 - 15:35	<p><b>კითხვა-პასუხი/ Questions and Answers</b></p>		
15:35 - 15:45	<p>ცვლილებები ცენტრის დებულებაში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა</p> <p>ცვლილებები ცენტრის დებულებაში, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა</p> <p>Amendments in the Statutes of the Center, VET Quality Assurance</p> <p>Amendments in the Statutes of the Center, General Quality Assurance Department</p>	<p>კახაბერ ერაძე</p> <p>Kakhaber Eradze</p>	<p>დირექტორის მოადგილე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p> <p>Deputy Director, National Center for Educational Quality Enhancement</p>

15:45 - 15:50	<b>კითხვა-პასუხი/ Questions and Answers</b>		
15:50 - 16:20	<p>ENQA-ს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს წევრობისათვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებული პროექტის გაცნობა</p> <p>Introduction of the prepared draft of the self-assessment report for the membership of the ENQA</p>	<p>ლაშა მარგიშვილი ნიკოლოზ ფარჯანაძე</p> <p>Lasha Margishvili Nikoloz Parjanadze</p>	<p>დირექტორის მოადგილე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Deputy Director, National Center for Educational Quality Enhancement Head of HE Quality Assurance Department, National Center for Educational Quality Enhancement</p>
16:20 - 16:25	<b>კითხვა-პასუხი/ Questions and Answers</b>		
16:25 - 16:30	<p>გაწევრიანების შესაძლებლობა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო ქსელში (INQAAHE)</p> <p>The Membership Opportunity of the International Network for Quality Assurance Agencies (INQAAHE)</p>	<p>ლაშა ზივზივაძე</p> <p>Lasha Zivzivadze</p>	<p>დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Head of Planning, Research and International Relations Department National Center for Educational Quality Enhancement</p>
16:30 - 16:40	<p>ლტოლვილთა ევროპული კვალიფიკაციების პასპორტის -EQPR წევრობა</p> <p>Membership of European Qualifications Passport for Refugees- EQPR</p>	<p>სალომე აბრამიშვილი</p> <p>Salome Abramishvili</p>	<p>საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Head of Educational Services Development Department, National Center for Educational Quality Enhancement</p>

16:40 - 16:50	<p>ცენტრის 2024 წლის საშტატო განრიგის პროექტში დაგეგმილი ცვლილებების წარდგენა</p> <p>Introduction of the planned amendments in staff schedule project 2024 of the Center</p>	<p>მაია კალანდაძე</p> <p>Maia Kalandadze</p>	<p>ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p> <p>Head of Financial Department, National Center for Educational Quality Enhancement</p>
16:50 - 16:55	კითხვა-პასუხი / Questions and Answers		
16:55 - 17:00	სამუშაო შეხვედრის შეჯამება / Wrap Up		